**ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

**ო ქ მ ი # 3**

ქ. ონი 06. 09. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 10 წევრი:** ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, გივი მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, თეიმურაზ ცეცაძე,

**არ ესწრებოდა 2 წევრი:** ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი დავით ჩიხრაძე, შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილების უფროსი გელა მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის განხილვა.

მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

თანამომხს. დ. ჩიხრაძე - მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, გ. მეტრეველი-შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის განხილვა.

მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

თანამომხს. დ. ჩიხრაძე - მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, გ. მეტრეველი-შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ფრაქციამ, ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ფრაქციის სხდომაზე განიხილა წარმოდგენილი ანგარიში, რომელიც საკმაოდ მძიმე და კრიტიკულია, ფრაქცია თანახმაა, საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად და  წარმოადგენს აღნიშნული ანგარიშის შეფასებასა და რეკომენდაციებს.

ს. ლობჯანიძემ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიში შეაფასა დადებითად და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიშით იკვეთება  ხარვეზები, რომელთა გამოც სახელმწიფომ იზარალა როგორც ფინანსურად, ისე არაჯეროვნად შესრულებული უხარისხო პროექტებით. საკითხი განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი, ონის მუნიციპალიტეტის  მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის შესახებ შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

თ. ცეცაძემ განაცხადა, რომ შიდა აუდიტის  სამსახურმა წარმოადგინა კარგი ნამუშევარი, თუმცა რიგ საკითხებზე მეტი კონკრეტიკაა საჭირო, რჩება წარმოდგენა, რომ რაღაც საკითხები მიჩქმალულია. აღმაშფოთებელია საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის საკითხი. საჭიროა, აღნიშნა მან, წარმოდგენილ ანგარიშს მოჰყვეს შესაბამისი შედეგი.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ  მერიის შიდა აუდიტის სამსახურის  მიერ წარმოდგენილი ანგარიში საკმაოდ კრიტიკულია. აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილი შენიშვნები და რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის ამოწურვის შემდეგ ბიუროს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

გ. მარკოიშვილმა განაცხადა, რომ  გამოცხადებული ტენდერი, ქალაქის სასმელი წყლის რეაბილიტაციის შესახებ, არ შედგა. ალ. კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, ქალაქის სასმელი წყლის რეაბილიტაციის პროექტში გათვალისწინებულია  წყლის ავზების მოწყობა, რაც როგორც პრაქტიკამ არაერთხელ აჩვენა, არ ამართლებს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ბაჩანა მარკოიშვილი**

საკრებულოს თავმჯდომარე